სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/60

ქ. თბილისი 23 ოქტომბერი 2023

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციისა და საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერის 2023 წლის 23 ოქტომბრის №0001431307 სამსახურებრივი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 23 ოქტომბერის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. გაუქმდეს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტის კანცელარია და შეიცვალოს საქმისწარმოების დეპარტამენტის სტრუქტურა, საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

საქმისწარმოების დეპარტამენტი

№	თანამდებობის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო	ყოველთვიური სახელფასო ფონდო
1	დეპარტამენტის უფროსი	1	2500 ლარი	2500 ლარი
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1300 ლარი	1300 ლარი
3	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900 ლარი	900 ლარი

4.	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	800 ლარი	800 ლარი
	სულ:	6		7200 ლარი
	არქივის განყოფილება			
6	განყოფილების უფროსი	1	1800 ლარი	1800 ლარი
7.	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900 ლარი	900 ლარი
8.	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	800 ლარი	800 ლარი
	სულ:	6		6000 ლარი

2. შეიქმნას აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განყოფილება, განყოფილების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განყოფილება

№	**თანამდებობის დასახელება**	**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო**	**ყოველთვიური სახელფასო ფონდო**
1	განყოფილების უფროსი	1	1800 ლარი	1800 ლარი
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1300 ლარი	2600 ლარი
3.	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900 ლარი	900 ლარი
	სულ:	4		5300 ლარი

3. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა დადგენილების პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით; დაფინანსება განხორციელდეს უნივერსიტეტის სახელფასო ფონდში მიღებული ეკონომიის ხარჯზე;

4. დამტკიცდეს აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განყოფილების დებულება (დანართი);

5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

6. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2023 წლის 01 ნოემბრიდან;

7. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს საქმისწარმოების დეპარტამენტმა;

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #64).

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**